20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

17/04/2024 N 189

თბილისი

შპს ,,ვალუტა 2022“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს ,,ვალუტა 2022”-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 405464625) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით ვგპ-0135204, მისამართზე: ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქ. N33;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,ვალუტა 2022”-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2021 წლის 20 ივლისის N212 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი